მე-10 კლასი

I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ ან გ

1. რას ეწოდება ფუძის კუმშვა?
   ა) ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნას;
   ბ) ერთ-ერთი ფუძისეული ხმოვნის ასიმილაციას;გ) ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოშორებას;
2. კუმშვა ხდება?
   ა) მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში;
   ბ)მხოლობითი რიცხვის მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში;
   გ) მხოლობითი რიცხვის ნათესაობით, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვაში და მთელ ებ-იან მრავლობითში.
3. რომელი სიტყვის ფუძეა კუმშვად-კვეცადი?
   ა) გოდორი; ბ) ღრუბელი; გ) ბეგარა;
4. რომელ წინადადებაშია გამოყენებული კვეცადი სახელი?
   ა) რუს ჩურჩული ესმოდათ ჩიტებს.
   ბ) მათ სახლში დრო ნელა გადიოდა.
   გ) მტკვრის ხეობას ხშირად მიმართავდა მეფე.
5. ჩამოთვლილთაგან რომელ ბრუნვას დაერთვის თანდებული?
   ა) სახელობითს; ბ) მოთხრობთს; გ) წოდებითს;

II სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ

6. ჩამოთვლილთაგან რომელია წინადადების არამთავარი წევრები?
   ა) უბრალო დამატება, განსაზღვრება, გარემოება;
   ბ) ქვემდებარე, შემასმენელი, პირ.დამატება, ირ. დამატება;
   გ) შემასმენელი, პირ.დამატება, გარემოება;
7. ქვემდებარის ბრუნვებია:
   ა) სახელობითი და მიცემითი;
   ბ) სახელობითი და მოთხრობითი ;
   გ) სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი;
8. წინადადების რომელი წევრია ხაზგასმული სიტყვა? „ბიჭმა <u>შესანიშნავად</u> დაუკრა კონცერტზე.“ ა) ქვემდებარე ; ბ) გარემოება; გ) უბ.დამატება;
9. წინადადების რომელი წევრია ხაზგასმული სიტყვა? „ქმარ-შვილის <u>მოლოდინში</u> დედამ გვიან დაიძინა.“ ა) განსაზღვრება; ბ) უბრალო დამატება; გ) შემასმენელი;
10. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მაპირისპირებელი კავშირი?
    ა) ან ისწავლე, ან იმუშავე, რომ თავი ირჩინო.
    ბ) სვენებ-სვენებით მიდიოდა და თან ფიქრს მისცემოდა.
    გ) მიყვარხარ, მაგრამ მაინც ვეღარ გენდობი.
11. რომელ წინადადებაშია გამოყენებული შედგენილი შემასმენელი?
    ა) მარინე გულიანად იცინოდა.
    ბ)“სისულელეა ყოფნა ეულად და ფიქრის იყო მარტო მშველელი.“
    გ) თითქოს ყველგან გაიღვიძა სიცოცხლემ.
12. რომელია სწორად დაწერილი მსაზღვრელ-საზღვრული?
    ა) ბატონ არჩილის; ბ) ბატონი არჩილის; გ) ბატონ არჩილით;
13. რომელ წყვილშია შეთანხმება?
    ა) მზის სახლი; ბ) მზით დატკბა; გ) პირმოცინარი მზე;
14. რომელ წყვილშია მართვა?
    ა) ცის კაბადონი; ბ) ზღვისფერი ცა; გ) ცისფრად უქარგავდა.
15. რომელ წყვილშია მირთვა?
    ა) ლაღად გაზრდილი; ბ) ლაღი ბუნება; გ) შვილი კაცისა;

III სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ

16. რომელი საუკუნით თარიღდება იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“?

ა) მე-8 საუკუნით; ბ)მეხუთე საუკუნით; გ) მეექვსე საუკუნით;

17. რომელი საუკუნის ჰაგიოგრაფიული ძეგლია ,,აბო თბილელის წამება“?

ა) V საუკუნის II ნახევრის; ბ)VI საუკუნის; გ) VIII საუკუნის;

18. შემოხაზეთ მართებული მნიშვნელობა ფრაზეოლოგიზმისა - „გულის მოგება“

ა) მლიქვნელობა; ბ) თავის შეყვარება; გ) ცუდად გახდა;

19. შემოხაზეთ მართებული მნიშვნელობა ფრაზეოლოგიზმისა - „მოქართულე“

ა) ქართულის მოყვარული; ბ) ტრადიციული; გ) ქართულის კარგი მცოდნე;

20. რას ნიშნავს სიტყვა - „მედგრობა“ ძველ ქართულში?

ა) სიზარმაცეს; ბ) სიძლიერეს; გ) ქედმოუხრელობას;